ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7575049

ნომერი: AR11100864

თარიღი : 18.07.2025

გაცემის თარიღი : 31.07.2025

გაცნობის თარიღი : 31.07.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ალუბლების ქუჩა N39;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 18 ივლისს №AR11100864 განცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 10 ივნისის №7510654 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 10 ივნისის №7510654 ბრძანებით შეთანხმდა №01.17.07.031.019 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 10 ივნისიდან 2028 წლის 10 ივნისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებლის მიერ განმარტებულია, რომ სამსახურის 2025 წლის 10 ივნისის №7510654 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა -3.00 ნიშნულის გეგმაზე „11-13“ ღერძებში კედლების მოწყობის ნაწილში. შესაბამისად მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება და შეთანხმებული -3.00 ნიშნულის გეგმის ჩანაცვლება წარმოდგენილით.
სამსახურმა შეთანხმებული და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი და შეთანხმებული -3.00 ნიშნულის გეგმები „11-13“ ღერძებში კედლების მოწყობის ნაწილში შეუსაბამოა ერთანეთთან. ამასთან, დამატებულია შახტა. აქედან გამომდინარე, უკვე შეთანხმებული გეგმის ცვლილება არ წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს, აღნიშნული საჭიროებს პროექტის ცვლილებას (კორექტირებას).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2025 წლის 10 ივნისის №7510654 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.